



346/4-2/22 2 17012022

346/4-2/22
17-01-2022

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გივი მოდებაძეს

ბატონო გივი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და 44-ე მუხლის პირველი პუნქტი. აღნიშნული ნორმების თანახმად, 1 იანვრიდან სოციალური მუშაკი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც აქვს სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი ან „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაკის სერტიფიკატი. ამავდროულად, კანონის 65-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან მოქმედება შეწყვიტა კანონის 44-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებმა, რომლებიც წარმოადგენდა სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირების პროცესის სამართლებრივ საფუძველს.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. შევსებულია თუ არა თქვენს უწყებაში ყველა ის ერთეული, რომელზეც გათვალისწინებულია სოციალური მუშაკის დასაქმება? ვაკანტური თანამდებობების რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიგვითითოთ რამდენია ვაკანტური თანამდებობა?
2. 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზემოაღნიშნული ნორმების მხედველობაში მიღებით, როგორია თქვენი ხედვა სამომავლოდ სოციალური მუშაკის ვაკანტური თანამდებობების შევსების შესაძლებლობების კუთხით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
TCHIATURA MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 72-7222020165
თარიღი: 20/01/2022
პინი: 2118

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ მიხელ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი თქვენი ამაწლის 17 იანვრის N346/4-2/22 (რეგისტრაციის N02-72220186-72) წერილის პასუხად გაცხობებთ, რომ 2020 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხაში შევიდა ცვლილებები, კერძოდ: „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამატებული იქნა სოციალური მუშაკის ერთი შტატი, პოზიცია ამჟამად არის ვაკანტური, 2021 წლის მარტის თვეში აღნიშნულ პიზიციაზე გამოცხდდა კონკურსი, მაგრამ მიუხედავად ამისა ვერ მოხერხდა კანდიდატის შერჩევა.

აქვე გაცხობებთ, რომ 2022 წლის 17 იანვარს სოციალური მუშაკის პოზიციაზე, საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებული ვებ გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით ისევ გამოცხადდა ღია კონკურსი, მოცემულ პოზიციაზე დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილი ვვაქვს „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 42 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 44 - ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად. ამჟამად მიმდინარეობს განაცხადების მიღების პროცესი და იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული კონკურსის საფუძველზე მოხდება შესაბამისი კანდიდატის შერჩევა და დასაქმება, ხოლო რაც შეეხება იმას თუ როგორია ჩვენი ხედვა სამომავლოდ სოციალური მუშაკის ვაკანტური თანამდებობის შევსების კუთხით, უმჯობესი იქნება, რომ სოციალური მუშაკის პოზიციაზე შერჩეული იქნას ისეთი კანდიდატიც, რომელსაც არ მოეთხოვება სოციალურ სფეროში ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან სოციალური მუშაკის სერტიფიკატი და პოზიციაზე დაინიშნის შემდგომ მოხდეს თანამშრომლის გადამზადება/სერტიფიცირება სოციალური მიმართულებით, რადგან როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, აღნიშნული დარგის სპეციალისტების შერჩევა დღეს მდგომარეობით რთულია.

პატივისცემით,

გივი მოდებაძე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამი





358/4-2/22 2 17012022



358/4-2/22
17-01-2022

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ გიორგი ხარჩილავა

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და 44-ე მუხლის პირველი პუნქტი. აღნიშნული ნორმების თანახმად, 1 იანვრიდან სოციალური მუშაკი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც აქვს სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი ან „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაკის სერტიფიკატი. ამავდროულად, კანონის 65-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან მოქმედება შეწყვიტა კანონის 44-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებმა, რომლებიც წარმოადგენდა სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირების პროცესის სამართლებრივ საფუძველს.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. შევსებულია თუ არა თქვენს უწყებაში ყველა ის ერთეული, რომელზეც გათვალისწინებულია სოციალური მუშაკის დასაქმება? ვაკანტური თანამდებობების რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიგვითითოთ რამდენია ვაკანტური თანამდებობა?
2. 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზემოაღნიშნული ნორმების მხედველობაში მიღებით, როგორია თქვენი ხედვა სამომავლოდ სოციალური მუშაკის ვაკანტური თანამდებობების შევსების შესაძლებლობების კუთხით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე



საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
მერი



5200 ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.#5. ტელ: 571 17-00-17 599 85-72-20
5200 K.Salia st. #5. Tsalenjikha, Georgia Tel: 571 17-00-1 599 85-72-20
www. tsalenjikha.gov.ge E-mail. tsalenjikhameraia@tsalenjikha.gov.ge



KA000017960177122

№ 06/111

20 / იანვარი / 2022 წ.

სარჯველაძე მიხეილპარლამენტის წევრი ;

თქვენი № 358/4-2/22 წერილის პასუხად გაცნობებთ რომ ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში დასაქმებულია 1 სოციალური მუშაკი რომელსაც გააჩნია „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაკის სერთიფიკატი. დასაქმებულია სოციალური მომსახურების, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის- ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში.

ამ ეტაპზე სოციალური მუშაკის ვაკანტური თანამდებობები არ არსებობს.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად

გიორგი ხარჩილავა



374/4-2/22 2 17012022



374/4-2/22
17-01-2022

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ ბაკურ ავსაჯანიშვილს

ბატონო ბაკურ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და 44-ე მუხლის პირველი პუნქტი. აღნიშნული ნორმების თანახმად, 1 იანვრიდან სოციალური მუშაკი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც აქვს სოციალური მუშაობის სფეროში ბაკალავრის, მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული ან დოქტორის აკადემიური ხარისხი ან „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური მუშაკის სერტიფიკატი. ამავდროულად, კანონის 65-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან მოქმედება შეწყვიტა კანონის 44-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებმა, რომლებიც წარმოადგენდა სოციალურ მუშაკთა სერტიფიცირების პროცესის სამართლებრივ საფუძველს.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. შევსებულია თუ არა თქვენს უწყებაში ყველა ის ერთეული, რომელზეც გათვალისწინებულია სოციალური მუშაკის დასაქმება? ვაკანტური თანამდებობების რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიგვითითოთ რამდენია ვაკანტური თანამდებობა?
2. 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული ზემოაღნიშნული ნორმების მხედველობაში მიღებით, როგორია თქვენი ხედვა სამომავლოდ სოციალური მუშაკის ვაკანტური თანამდებობების შევსების შესაძლებლობების კუთხით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ყ ა ზ ბ ე გ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ა ბ ო ტ ი ს მ ე რ ი ა



წერილის ნომერი: 102-1022202059
თარიღი: 20/01/2022
პინი: 9910

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

თქვენი მიმდინარე წლის 17 იანვრის №374/4-2/22 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის, ჯანმრთელობის, ბავშვის უფლებებისა და სოციალური დაცვის სამსახურში შექმნილია ბავშვის უფლებებისა და სოციალური დაცვის განყოფილება, რომელიც ითვალისწინებს "სოციალური მუშაობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ გარკვეულ მოთხოვნებს, მაგრამ აღნიშნული განყოფილება ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს და შესაბამისად, სოციალური მუშაკის თანამდებობა ჯერ-ჯერობით არ არის ვაკანტური.

გაცნობებთ, რომ სამომავლოდ სოციალური მუშაკის ვაკანტური თანამდებობის შევსება განიხილება ზემოაღნიშნულ მერიის სტრუქტურულ ერთეულში.

პატივისცემით,

ბაკური ავსაჯანიშვილი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

